



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87. 8723009001

თარიღი:09/01/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 1

ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის, „ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №11 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა“ თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.
3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ახმეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა

1. ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT)

| | დადებითი | უარყოფითი |
|-------------|--|--|
| შიდა | <p><u>ძლიერი მხარეები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მრავალფეროვნება • წარმომადგენლობითობა • გამოცდილება • მოტივაცია • ღიაობა • სიახლეების მიმართ მზაობა • მრავალ ეთნიკურობა • ნდობა • საბჭოს წევრების ცნობადობა • გავლენის მოხდენის შესაძლებლობა (საკრებულოსა და მერიაში) • გუნდურობა • ბიუჯეტის ქონა • ფეისბუქ გვერდი • დონორებთან ურთიერთთანამშრომლობა | <p><u>სუსტი მხარეები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტი (ხარჯვის პრობლემა) • არარელევანტური სამოქმედო გეგმა • შიდა და გარე კომუნიკაციის ნაკლებობა • მუდმივმოქმედი თანამშრომლის არ ყოლა • გენდერის თემატიკის ცოდნის ნაკლებობა • საჯარო ცნობადობის ნაკლებობა • სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება • სტატისტიკის არქონა • კვლევის ჩატარების უნარების არ ქონა • სპეციფიური ცოდნის არქონა (მაგ: შშმ პირების ზოგადი საჭიროებები) • საქმიანობის შეფასების/მონიტორინგის არქონა • საბჭოს ნაკლებად ეფექტიანობა • საბჭოში ოპოზიციური პარტიის წევრების არ ყოფნა • საზოგადოების წინაშე საბჭოს მიერ გაწეულ საქმიანობებზე ანგარიშების არ წარდგენა • მოსახლეობის ნაკლები ინტერესი საბჭოს საქმიანობისადმი |

| | | |
|-------------|--|---|
| გარე | <p><u>შესაძლებლობები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება/საერთ. გაცვლები • დონორების გამრავალფეროვნება • გრანტების/ფონდების მოძიება • საქართველოს მასშტაბით არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების გამოცდილების გაზიარება | <p><u>საფრთხეები/გამოწვევები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საზოგადოების მხრიდან საბჭოს საქმიანობის არასერიოზული აღქმა • არასტაბილური პოლიტიკური გარემო • ევროკავშირის მიერ 12 პუნქტიანი რეკომენდაციების არასათანადოდ შესრულება |
|-------------|--|---|

2. სტრატეგიული საკითხების სია

| # | სტრატეგიული საკითხი |
|---|---|
| 1 | ახმეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება (ფინანსური და ადამიანური) |
| 2 | ახმეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის შექმნა |
| 3 | ახმეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მიმართულებების განვითარება |
| 4 | მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება |
| 5 | დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება/გაღრმავება |

3. ორწლიანი სამოქმედო გეგმა (1 იანვარი, 2023 - 31 დეკემბერი, 2024)

| სტრატეგიული საკითხი | საქმიანობა/აქტივობები რა უნდა გაკეთდეს? | წარმატების ინდიკატორი | შესრულების ვადა როდის გაკეთდება? | პასუხისმგებელი პირი ვინ გააკეთებს? | საჭირო რესურსი რა რესურსებია საჭირო? |
|---|---|--|--|---|---|
| <p align="center">1. ახმეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება</p> | <p>1.1. საბჭოს წევრების შინაარსობრივი და თემატური გადამზადება, გენდერული მგრძნობელობის ამაღლება</p> | <p>ჩატარებულია სულ ცოტა 4 ტრენინგი (წელიწადში 2 ტრენინგი); გადამზადებულია ჯამში 20 ადამიანი.</p> | <p>მარტი და ოქტომბერი, 2023 წ. აპრილი და ნოემბერი, 2024 წ.</p> | <p>დავით ავაზაშვილი; ანა იმედაშვილი</p> | <p>ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. დონორების ფინანსური მხარდაჭერა. ბიუჯეტი: 1 ტრენინგის ღირებულება 2,000 ლარი. ჯამში: 4,000 ლარი.</p> |
| | <p>1.2. საბჭოს წევრების გამრავალფეროვნება</p> | <p>პოლიტიკური წარმომადგენლობის გამრავალფეროვნება; შშმ პირების ჩართვა; სოციალური სამსახურის წარმომადგენლის ჩართვა/გაწევრიანება.</p> | <p>აპრილი, 2023 წ. - 31 დეკემბერი, 2024 წ.</p> | <p>ანა იმედაშვილი; ბელა მარქუაშვილი</p> | <p>ადამიანური და დროითი რესურსი.</p> |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|--|
| | 1.3. საბჭოს ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება | მომზადებულია, წარდგენილია და დამტკიცებულია 2023 და 2024 წლების ბიუჯეტები. | აგვისტო - ნოემბერი, 2023 აგვისტო - ნოემბერი, 2024 | გიორგი მამუჩარაშვილი; დავით ავაზაშვილი | ადამიანური და დროითი რესურსი. ექსპერტული მხარდაჭერა. |
| | 1.4. საბჭოს საქმიანობისთვის პასუხისმგებელი პირის გამოყოფა | ერთი პასუხისმგებელი პირი გამოყოფილია, რომელიც საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში ეხმარება. | მარტი, 2023 წ. | დავით ავაზაშვილი | ადამიანური და დროითი რესურსი. |
| 2. ახმეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის შექმნა | 2.1. საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება | საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებული და დამტკიცებულია; საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია განხორციელებულია. | მაისი - ივნისი, 2023 წ. ივლისი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ. | შორენა ხანგოშვილი; ბელა მარუქაშვილი | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. დონორების ფინანსური მხარდაჭერა. ბიუჯეტი: 2,000 ლარი. |
| | 2.2. საბჭოს საქმიანობის შესახებ მოსახლეობასთან აქტიური და ეფექტიანი კომუნიკაცია | ჩატარებულია მოსახლეობასთან შეხვედრები; სულ მცირე 10 თემში (2 წლის მანძილზე 10 შეხვედრა). | აპრილი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ. | იოსებ ქარუმაშვილი; თამარ ბეჟაური | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. ტრანსპორტირება და შეხვედრების სივრცე. |

| | | | | | |
|---|---|---|--|--|--|
| | 2.3. საბჭოს ფეისბუქ გვერდის გააქტიურება | საბჭოს გვერდს ჰყავს 1,000 გამომწერით მეტი; გამოქვეყნებულია სულ ცოტა 24 პოსტი; შეიქმნა სულ ცოტა 2 მოკლე ვიდეო რგოლი. | იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ. | გიორგი მამუჩარაშვილი; ბელა მარუქაშვილი; ანა იმედაშვილი | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. პოსტების დასპონსორება - ჯამში: 1,500 ლარი. |
| | 2.4. გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება | ჩატარებულია შეხვედრები კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან (ჯამში 8 შეხვედრა). | მაისი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ. | იოსებ ქარუმაშვილი | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. ბიუჯეტი: ტრანსპორტირება და კვება. ჯამში: 2,000 ლარი |
| | 2.5. მერთან კომუნიკაციის გააქტიურება | ჩატარებულია წელიწადში 2 შეხვედრა მერთან და მერიის სამსახურების უფროსებთან (ჯამში 4 შეხვედრა). | აპრილი და ოქტომბერი, 2023 წ. აპრილი და ოქტომბერი, 2024 წ. | იოსებ ქარუმაშვილი; ბელა მარუქაშვილი | ადამიანური და დროითი რესურსი. |
| 3. ახმეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მიმართულებების განვითარება | 3.1. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების კვლევის ჩატარება და სტატისტიკის წარმოება | ჩატარებულია, მომზადებულია და წარდგენილია მინიმუმ 2 კვლევა (ახლგაზრდების და სოფლად მცხოვრები | I კვლევა: ივლისი - ოქტომბერი, 2023 წ. II კვლევა: აპრილი - სექტემბერი, 2024 წ. | ხათუნა იჩუაიძე; ანა იმედაშვილი | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. დონორების ფინანსური მხარდაჭერა. |

| | | | | | |
|---|--|---|--|---|--|
| | | ქალების საჭიროებების კვლევა). | | | ბიუჯეტი: 1 კვლევის ჩატარების თანხა 2,000 ლარი. ჯამში: 2,000 ლარი. |
| | 3.2. თემატური მოკვლევების ჩატარება | ჩატარებულია მინიმუმ 4 თემატური მოკვლევა. | იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ. | მანანა ძარღუაშვილი; სვეტლანა ბორჩაშვილი | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. დონორების ფინანსური მხარდაჭერა. |
| | 3.3. საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება და წარდგენა | მომზადებულია და წარდგენილია ჯამში 6 ინიციატივა. | იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ. | იოსებ ქარუმაშვილი; გიორგი მამუჩარაშვილი | ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი. დონორების ფინანსური მხარდაჭერა - საბიუჯეტო ექსპერტის დახმარება. |
| 4. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება | 4.1. სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა | მუნიციპალიტეტში სამიზნე ჯგუფები განსაზღვრულია. | თებერვალი - მარტი, 2023 | ანა იმედაშვილი | ადამიანური და დროითი რესურსი. |

| | | | | | |
|--|--|---|---|--|---|
| | <p>4.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლების გადამზადება და გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.</p> | <p>ჩატარებულია სულ მცირე 8 ტრენინგი.</p> | <p>იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ.</p> | <p>იოსებ ქარუმაშვილი; ბელა მარქუაშვილი</p> | <p>ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი.</p> |
| | <p>4.3. მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა გენდერული ნიშნით ოჯახში, ქალთა მიმართ ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ მექანიზმებზე.</p> | <p>ჩატარებულია მინიმუმ 2 შეხვედრა თითო თემში.</p> | <p>იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ.</p> | <p>იოსებ ქარუმაშვილი; ბელა მარქუაშვილი</p> | <p>ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი.</p> |
| | <p>4.4. ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება</p> | <p>სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შემუშავებულია და განხორციელებულია 16 დღიანი კამპანიის აქტივობები.</p> | <p>ნოემბერი - დეკემბერი, 2023 ნოემბერი - დეკემბერი, 2024</p> | <p>ანა იმედაშვილი</p> | <p>ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი.</p> |

| | | | | | |
|--|--|--|---|---|---|
| | <p>4.5. მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ადრეული ქორწინების შესახებ.</p> | <p>ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან;</p> <p>დაგეგმილია ღონისძიებები 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისთვის;</p> <p>ორგანიზებულია კინო ჩვენება და დისკუსია.</p> | <p>იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ.</p> | <p>იოსებ ქარუმაშვილი; ბელა მარქუაშვილი</p> | <p>ადამიანური, ფინანსური და დროითი რესურსი.</p> |
| | <p>4.6 ახალგაზრდებთან გასვლითი (ღია) ღონისძიებების ჩატარება, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით</p> | <p>კახეთში არსებული წარმატებულ კოლეჯებში გასვლითი ღონისძიებების დაგეგმა.</p> | <p>იანვარი , 2023 წ. დეკემბერი, 2024 წელი</p> | <p>საკრებულო, მერია, მერიიდან გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. გენდერული თანასწორობის საბჭო</p> | <p>4000 ლარი</p> |

| | | | | | |
|--|--|--|---|---|--------------------------------------|
| | <p>4.7 შშმ პირების გააქტიურება და მათი ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს მათი საჭიროებები</p> | <p>ჩატარებულია მინიმუმ ოთხი შეხვედრა შშმ პირებთან და მათ მეურვეებთან</p> <p>მოგვარებულია კვლევის შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები</p> | <p>იანვარი , 2023 წ. დეკემბერი, 2024 წელი</p> | <p>საკრებულო, მერია, მერიიდან გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. გენდერული თანასწორობის საბჭო</p> | <p>5000 ლარი</p> |
| <p>5. დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაღრმავება</p> | <p>5.1. არსებულ დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.</p> | <p>არსებულ დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ჩატარებულია 4 სამუშაო შეხვედრა.</p> | <p>იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ.</p> | <p>ბელა მარქუაშვილი</p> | <p>ადამიანური და დროითი რესურსი.</p> |
| | <p>5.2. ახალი დონორების და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება და თანამშრომლობის დამყარება.</p> | <p>ჯამში მოძიებულია და თანამშრომლობა დამყარებულია 2 ახალ დონორ ორგანიზაციასთან.</p> | <p>იანვარი, 2023 წ. - დეკემბერი, 2024 წ.</p> | <p>თამარ ბექაური; შორენა ხანგოშვილი</p> | <p>ადამიანური და დროითი რესურსი.</p> |